KA030194761667820

№ 01-1300

13 / თებერვალი / 2020 წ.

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსს ბექა ჯაყელს

ბატონო ბექა,

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 12 თებერვალს სამინისტროში შედგა შეხვედრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძესა და სერბეთის რესპუბლიკის შრომის, დასაქმების, ვეტერანთა და სოციალურ საქმეთა მინისტრს ზორან ჯორჯევიჩს შორის, ორ ქვეყანას შორის სამომავლო თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირების, გამოცდილების გაზიარების მხარეთა ერთობლივი ინტერესის სფეროებში. ასევე 2020 წლის 12 თებერვალს სამინისტროში იმყოფებოდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს იმიგრაციის და ინტეგრაციის ოფისის დელეგაცია პრეფექტის დიდიე ლეშის ხელმძღვანელობით. ჯანდაცვის მიზეზებით გამოწვეული თავშესაფრის მოთხოვნის გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე, საქართველოში არსებული ჯანდაცვის სერვისების/პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების და შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებების მონახულების მიზნით.

2020 წლის 7 თებერვლის N01-1045 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სამინისტროს ადმინისტრაციის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს დაევალა აღნიშნული ვიზიტების ფარგლებში სუვენირების შესყიდვის უზრუნველყოფა.

1. შპს ,,თელავის მარანი"-სგან შესყიდულ იქნა 3 (სამი) ბოთლი ღვინო ,,საფერავი" 0.75 ლ. და 1 (ერთი) ბოთლი ღვინო ,,წინანდალი" 0.75 ლ. რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა - 37.90 (ოცდაჩვიდმეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი, (CPV კოდი: 15900000);

2. შპს ,,ბადაგი"-სგან შესყიდულ იქნა 2 (ორი) შეკვრა ჩურჩხელის ნაკრები, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა - 76 (სამოცდათექვსმეტი) ლარი, (CPV კოდი: 15800000).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის (წარმომადგენლობითი ხარჯი) შესაბამისად, გთხოვთ, განახორციელოდ ანგარიშსწორება შპს ,,თელავის მარანი"-თან და შპს ,,ბადაგი"-თან ზემოაღნიშნულ თანხებზე.

დანართის სახით წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების შესაბამის დოკუმენტებს (ინვოისები).

(დანართი: 2 PDF ფაილი)

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თინათინ ხარძიანი

1-დან

19.02.2020, 11:48

INVOICE

ინვოისის №	9067
თარიღი	11.02.2020

შემსრულებელი

შპს "ბადაგი"
ს/კ 404907222
იურიდიული მის: ქ.თბილისი,მიცკევიჩის ქ.1.ბ.3
ფაქტიური მის: ქ.თბილისი,აღმაშენებლის ხეივანი 1.6 კმ
სს თიბისი ბანკი
TBCBGE22 GE89TB7759436080100001
info@badagi.ge/www.badagi.ge
ტელ:+995 97 11 10 22

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი (GEL)	ფასი (GEL)
1	ჩურჩხელების 38 ლარიანი ნაკრები	ცალი	2	38.00	76.00
				ჯამი	76.00

	დამკვეთის მონაცემები
	საქართველოს , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ს/კ 202486559

შპს "ბადაგი"- ს გენერალური დირექტორი: ინგა ყაჯრიშვილი